დახურული გარემოს გავლენა პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე

ილია გურასპაული

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".

სახელი, გვარი ***ილია გურასპაული***

თარიღი: 14. 06. 2026

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა ეხება დახურული სამუშაო გარემოს გავლენას პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. პენიტენციური სისტემა წარმოადგენს სპეციფიკურ, მაღალი რისკისა და სტრესული ფაქტორებით დატვირთულ სამუშაო გარემოს, სადაც სოციალური მუშაკები ყოველდღიურად აწყდებიან პროფესიულ, ეთიკურ და ემოციურ გამოწვევებს.

კვლევის მიზანია იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც უარყოფითად აისახება პენიტენციურ დაწესებულებებში მომუშავე სოციალური მუშაკების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, ასევე მათი გამოცდილების, აღქმებისა და დამოკიდებულების შესწავლა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. მონაცემები შეგროვდა სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით მოქმედ და ყოფილ სოციალურ მუშაკებთან, რომლებსაც პენიტენციურ დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება აქვთ.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალური მუშაკების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უსაფრთხოების მუდმივი კონტროლი, იზოლაციის განცდა, ტრავმულ შემთხვევებთან ხშირი შეხება, რესურსების სიმწირე და პროფესიული როლის სირთულე. გამოვლინდა პროფესიული გადაწვის, ემოციური გამოფიტვისა და მეორეული ტრავმის რისკები. ამასთანავე კვლევამ აჩვენა, რომ კოლეგიალური ურთიერთობები, პროფესიული მხარდაჭერა, სუპერვიზია და თვითზრუნვის პრაქტიკები მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორს წარმოადგენს.

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს პენიტენციურ სისტემაში დასაქმებული სოციალური მუშაკების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და პროფესიული კეთილდღეობის ხელშეწყობის აუცილებლობას. მიღებული მიგნებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მხარდაჭერის მექანიზმების განვითარებისთვის, ასევე სოციალური მუშაკების სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და პროფესიული გადაწვის პრევენციის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: პენიტენციური სისტემა, სოციალური მუშაკი, დახურული გარემო, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, სამუშაო სტრესი, პროფესიული გადაწვა, მეორეული ტრავმა, მხარდაჭერის მექანიზმები.

Abstract

The present study examines the impact of a closed working environment on the psycho-emotional well-being of social workers employed in penitentiary institutions. The penitentiary system represents a specific, high-risk, and stress-intensive work environment in which social workers face professional, ethical, and emotional challenges on a daily basis. The aim of the study is to identify the factors that negatively affect the psycho-emotional well-being of social workers working in penitentiary institutions and to explore their experiences, perceptions, and attitudes regarding this issue.

The study was conducted using a qualitative research method. Data were collected through in-depth interviews with current and former social workers who have experience working in penitentiary institutions.

The findings revealed that the psycho-emotional well-being of social workers is significantly affected by a high workload, constant security control, feelings of isolation, frequent exposure to traumatic incidents, limited resources, and the complexity of their professional role. Risks of

burnout, emotional exhaustion, and secondary traumatization were identified. At the same time, the study demonstrated that collegial relationships, professional support, supervision, and self-care practices serve as important protective factors.

The findings emphasize the necessity of promoting the mental health and professional well-being of social workers employed within the penitentiary system. The results may be used to develop support mechanisms, improve working conditions, and prevent professional burnout among social workers.

Keywords: Penitentiary system, Social worker, Closed environment, Psycho-emotional well-being, Work-related stress, Burnout, Secondary trauma, Support mechanisms.

მადლობა

მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორ შორენა სამაგლიშვილს. დასაფასებელია მისი ძალისხმევა ცოდნის გაზიარების, პროფესიული თვალსაწიერის გაფართოებისა და უნარების განვითარების მხრივ. არა მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომის წერის პროცესში, არამედ მაგისტრატურის საფეხურზე სწავლისას ის მუდმივად ორიენტირებული იყო ჩემი პროფესიული ხედვების გაღრმავებაზე, არ იშურებდა ცდას, უფრო გამემდიდრებინა ცოდნა სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თეორიასა თუ მიდგომაში.

ასევე მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს და განსაკუთრებით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტს, რომელმაც საშუალება მომცა, მიმეღო ის პრაქტიკული და თეორიული ცოდნა-უნარები, რომლებიც ძალიან დამეხმარა ამ ნაშრომის შესრულებაში; კრიტიკული

თვალით შემეხედა იმ გარემო ფაქტორებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია პენიტენციურ სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკების საქმიანობასთან.

დიდი მადლობა პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს, რომლებიც დამეხმარნენ კვლევის ჩატარების პროცესში და დამითმეს დრო მათი გამოცდილებებისა და ხედვების გასაზიარებლად. ასევე მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა ჩემს კოლეგას, რომლებიც პენიტენციურ სისტემაში ემსახურებიან უმნიშვნელოვანეს და ფასდაუდებელ საქმეს და მინდა ვუსურვო, დაფასებული ყოფილიყოს მათი შრომა.